

ილია ვადაჭკორია

ამქართა ინსტიტუტი საქართველოში და მისი წევრების სოციალური მდგომარეობა გაზეთ „ივერიას“ მიხედვით

ქართველი სწავლულების მიერ სოციალურ პრობლემატიკასთან მიმართებაში გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ პუბლიკაციებში განსაკუთრებულ ყურადღებას, თბილისსა და საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში მოქმედი ამქართა (ხელოსანთა გაერთიანება) ინსტიტუტების და მასში დასაქმებული მუშა-ხელოსნების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა იქცევს. ამ საკითხთან მიმართებაში თითოეული მათგანის შეხედულებების განხილვამდე, პირველი რიგის ამოცანად იმ ძირითადი განმაპირობებელი მიზეზების ახსნა და წინა პლანზე წამოწევა გვესახება, რამაც ამქართა ინსტიტუტის საქართველოში წარმოშობა განაპირობა.

ჩვენს მიერ დასმული საკვლევი საკითხის გარშემო გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება გაბატონებული: ავტორთა ერთი ნაწილი თვლის, რომ თბილისში ამქართა ორგანიზაციები ქართველებს არ შეუქმნია, იგი სპარსეთიდან და ოსმალეთიდან იქნა გადმოღებული. ეს თვალსაზრისია გატარებული ცნობილი გერმანელი მოგზაურების: ა.ჰაქსტგაუზენის (Гакстгаузен, 1955, с. 104), ე.ვაიდენაუმის (Вейденгаум, 1960, с. 113), სომეხი პროფესორის ი.ახვერდოვის (Ахвердов, 1888, с. 4-10), ქართველი მეცნიერების პროფესორ შ.ჩხეტიას (ჩხეტია, 1940, გვ. 49-50), პროფესორ გ.გამყრელიძის (გამყრელიძე, 1941, გვ. 557) და სხვათა შრომებში.

ზემოაღნიშნული ავტორების საწინააღმდეგო შეხედულება გამოთქვა პროფესორმა შოთა მესხიამ. მხედველობაში გვაქვს მისი ფუნდამენტური ნოონოგრაფიის - „ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში (XVII- XVIII სს.)“ მეხუთე თავი - „ხელოსნური და სავაჭრო ორგანიზაციები გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებში“ (მესხია, 1983, გვ. 508-584). აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში არსებული საარქივო და სხვა სახის დოკუმენტური მასალის გაანალიზების საფუძველზე, მან დაასაბუთა, რომ ცეხური ორგანიზაციები საქართველოში გაცილებით ადრე არსებობდა ვინემ უცხოური ტერმინი- ამქარი დამკვიდრდებოდა. მისი სამართლიანი მტკიცებით, „ფეოდალური საქართველოს შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური პირობების, საქალაქო ცხოვრებისა და წესწყობილების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს ფეოდალური წყობილებისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტის ამქარის წარმოშობა X- XI სს. ვივარაუდოთ“ (მესხია, 1983, გვ. 516).

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ დღემდე მოღწეულ წერილობით ძეგლებში გვხვდება შემდეგი სახის ტერმინები: „გალატოზთა უხუცესი“ ანუ კალატოზთა გამგებელი), „მკერვალთა უხუცესი“, „მხატვართა უხუცესი“, „მზარეულთა უხუცესი“, „ხელოსანთა უხუცესი“ და ა.შ. აქ ჩამოთვლილი უხუცესები, ცალკეული დარგის ხელოსანთა ორგანიზაციების გამგებლები- ანუ „ამქრის თავები“ იყვნენ. უცხოური ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, მათ შეიძლება „ამქარბაშები“ და „უსტაბაშები“ ვუწოდოთ. 1635 წლის

საბუთის მიხედვით, მკერვალთა ამქრის თავს „მკერვალთ უფროსი“ ან კიდევ „მკერვალთ უზუცესი“ ეწოდებოდა (მესხია, 1983, გვ. 517).

რაც შეეხება ტერმინ - ოსტატს, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, იგი „ხელოსანთ უფროსს“ ნიშნავს (ორბელიანი, 1966, გვ. 603), ხოლო ტერმინი - უსტაბაში, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, თურქული წარმომავლობისაა და ნიშნავს „ხელოსანთა ამქრის უფროსს“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1966, გვ. 1609). ამ ფონზე, სიტყვა ამქარი, ოსტატ-ხელოსანთა გაერთიანების ამხანაგობის შინაარსის მატარებელია (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1950, გვ. 459).

ჩვენს მიერ განმარტებითი ლექსიკონებიდან მოტანილი ფაქტები იმაზე მიგვანიშნებს, რომ რომ ქართულ ხელნაწერებში ხელოსანთა ამა თუ იმ გაერთიანების შესახებ უზუცესის თავების ან უფროსის ცნებით დაცული ტერმინოლოგია, სრულად შეესატყვისება ამქრისა და უსტაბაშის ცნებათა შინაარსს. აქედან გამომდინარე, სავსებით მართებულად მიგვაჩნია პროფ. შ.მესხიას დასკვნა იმის შესახებ, რომ ამქარისა და უსტაბაშის ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სინამდვილეში ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული და იგი X-XI საუკუნიდან იღებს სათავეს (მესხია, 1983, გვ. 519).

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლების საბუთების მიხედვით, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ხელოსანთა და ვაჭართა გაერთიანებები ამქარად იწოდებოდა. ისიც ცნობილია, რომ თბილისსა და სხვა ქალაქებში შემდეგი სახის ამქრული ორგანიზაციები ფუნქციონირებდა: ხუროების, კალატოზების, მეტყავეების, ხარაზების, ნალბანდების, მექვაბეების, ოქრომჭედლების, მესაათების, მკერავების, მჭედლების, მკუპრავების, მესანთლეების, სირაჯების (ცხენის აკაზმულობის მკეთებლების), მეჭურჭლეების, მხატვრების, მღებავების, ქვისმთლელების და ა.შ. ხელოსანთა აღნიშნულ ამქართა გვერდით ვაჭართა ამქრებიც არსებობდა. ესენია: ბაზაზების, ბაჰყლების, ყასბების, მეღვინეების, მეწვრილმანეების და ა.შ. ამ გაერთიანებებს სათავეში უსტაბაში ანუ ამქრების უფროსები ედგა, რომლებიც აღნიშნული გაერთიანებების შემადგენლობაში მყოფი წევრების საქმიანობას უკეთებდა ორგანიზაციას.

საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების ევოლუციის მიმდინარე პროცესებმა, თბილისის ამქრების ორგანიზაციებში გარკვეული ცვლილებები გამოიწვია. მხედველობაში გვაქვს ამქარში მომუშავე იმავე ოსტატის სახელოსნოს მესაკუთრედ - წვრილ მრეწველად გახდომა. ასეთ სახელოსნოებში ქირით მუშაობა იქნა შემოღებული. ისიც ცნობილია, რომ ხელოსან-ოსტატ მესაკუთრეთა პარალელურად ხდებოდა არახელოსნების მხრიდან მოქმედი სახელოსნოების შესყიდვა ან ახლის გახსნა. ამას მხოლოდ ის ხალხი ახერხებდა, რომლებსაც გარკვეული რაოდენობის ფული ვაჭრობით და მევახშეობით ქონდა დაგროვილი (აბესაძე, 1971, გვ. 210).

მართალია, ასეთ სახელოსნოებში დაცული იყო ამქრისთვის დამახასიათებელი იერარქია (ოსტატი, ქარგალი, შეგირდი), მაგრამ იგივე ოსტატი იმავე ორგანიზაციაში ქირით მუშაობდა როგორც სხვისთვის მწარმოებელი. აქედან გამომდინარე, იგი ქარგლისა და შეგირდის კატეგორიაში ჯდება.

სამივე მათგანი სახელოსნოს მეპატრონის ხელში დაქირავებული მუშის ფუნქციას ასრულებდნენ.

ბურჟუაზიული რეფორმების გატარებამ, თბილისის ხელოსნური საზოგადოებები არსებულ კანონმდებლობას დაუქვემდებარა. მხედველობაში გვაქვს თბილისის ხელოსნების სახელოსნო სამმართველოს ზედამხედველობისადმი დაქვემდებარება. ამ პროცესმა, ხელი შეუწყო მსგავსი პროფესიის მქონე ხელოსნების ერთ საზოგადოებად გაერთიანებას-ამქარის ან ცეხის ფორმით. ისიც ცნობილია, რომ ხშირ შემთხვევაში, მცირერიცხოვანი ამქარი მისი მონათესავე ხელობის ან საერთო ინტერესების მქონე ამქართან ერთიანდებოდა და ამქარის დიდ გაერთიანებას ქმნიდა. მაგალითად: ფეხსაცმლის მკერავთა ამქარში 7 სახეობის მსგავსი ხელოსნური ამქარი იყო გაერთიანებული. ბეწვის ამქარში 3 სახეობის, მკერავთა ამქარში 2 სახეობის და ა.შ. (ემგვერამე, 1986, გვ. 26).

გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი მასალების მიხედვით, ყოველ ამქარს თავისი ატრიბუტები- სპეციალური ნიშნები და დროშები ქონდა. მასზე უმეტესწილად წმინდანთა სურათები იყო გამოსახული („ივერია“, 1892, 14 ივლისი). რაც შეეხება ამქარში გაერთიანებულ ხელოსნებს, ისინი შემდეგი უფლებებით სარგებლობდნენ: 1)მათ შეეძლოთ თავიანთი შრომით მოეპოვებინათ საზრდო და ქირით აეყვანათ ქარგლები; 2)პირადი მოგების მიზნით, გარკვეული საფასურით აეყვანათ შეგირდები; 3)გაექირავებინათ კუთვნილი სახელოსნო და იარაღები; 4)სხვისი ნედლეულით დაემზადებინა შესაბამისი საგნები და მოგების მიზნით მისი რეალიზაცია მოეხდინა.

აღნიშნული უფლებების პარალელურად, უსტაბაშსა და სახელოსნოს გამგეობის ვალდებულებას შეადგენდა - უმკაცრესი კონტროლის დაწესებით მოეხდინა სახელოსნოს გახსნის ნებართვის მიცემა მცოდნე ადამიანებისთვის. ამ უფლების მოსაპოვებლად, განსაკუთრებულ როლს ოსტატის ხელმოწერით და ამქრის გამგეობისგან დამტკიცებული ატესტატი ასრულებდა. რაც შეეხება ატესტატის ალების ცერემონიალს, ამის შესახებ დაწვრილებითაა აღწერილი გაზეთ „ივერიაში“ 1891 წელს დაბეჭდილ პუბლიკაციაში - „ფეხსაცმლის მკერვალნი ტფილისში“. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულ წერილში ვკითხულობთ: „ახლად დაოსტატებული უნდა დალოცოს მისმა ოსტატმა და სამი სილა შემოჰკრას ყბაში დალოცვის ნიშნად. ამისათვის, საღმთოს გადახდის წილად უნდა წარმოადგინოს... სამ თუმნამდე. საღმთოს შემდეგ ეღირსება მხოლოდ ასე დალოცვილს მოწმობა, ანუ ატესტატი“ („ივერია“, 1889, 18 ივნისი). იმავე პუბლიკაციაში მოტანილი მონაცემების მიხედვით, ატესტატის აღებამდე, შეგირდი ვალდებული იყო ყოველი კვირა ეხადა შესაბამისი გადასახადი. მხოლოდ ამ პროცედურის წარმატებით გავლის შემდეგ ეძლეოდა ატესტატის ალების შესაძლებლობა. შეგირდებთან მიმართებაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის დარეგულირებაში განსაკუთრებული როლი რუსეთის ფინანსთა სამინისტროს მიერ 1891 წელს დამტკიცებულმა „სახელოსნო დებულებამ“ შეასრულა. ამ დოკუმენტით, სახელოსნოს მეპატრონისადმი წაყენებული მოთხოვნები შემდეგი ფორმით შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1) სახელოსნოს პატრონი ვალდებული იყო, თავისი შეგირდი წერა-კითხვას

სასწავლებლად დანიშნულებისამებრ სკოლაში თავისი ხარჯით ეტარებინა; 2)ხელოსანთა მზრუნველები ვალდებულნი იყვნენ თვალყური ედევნებინა, ატარებდა თუ არა ხელოსანი სკოლაში შეგირდს და ბეჯითად სწავლობდა თუ არა იგი; 3)სახელოსნოს პატრონი ვალდებული იყო მამობრივი მზრუნველობის ფორმები გამოეჩინა შეგირდისადმი; 4)ხელოსანს, შეგირდის აყვანა მხოლოდ 5 წლის ვადით შეეძლო; 5)სწავლის დამთავრების შემდეგ, შეგირდი გამოცდას 3 კაციან კომისიას აბარებდა და საჩუქართან ერთად პირველი ხარისხის მოწმობასაც ღებულობდა; 6)გამოცდის ვერჩაბარების შემთხვევაში, შეგირდი 1- დან 2 წლით ისევ ხელოსანთან რჩებოდა ცოდნის გაღრმავების მიზნით; 7) ხელოსნის მიერ შეგირდთან მიმართებაში სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში, იგი შესაბამისი ფორმის ადმინისტრაციული სასჯელით ისჯებოდა და ხშირად შეგირდის აყვანის უფლებაც ერთმეოდა („ივერია“, 1891, 14 აგვისტო).

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტები იმაზე მიგვანიშნებს, რომ იმ პერიოდის სახელისუფლებო მმართველი წრეების მიერ, შეგირდის ინსტიტუტი სამართლებრივად იქნა დაკანონებული და რაც მთავარია, მისი უფლებრივი და სოციალური ნორმები განისაზღვრა. ასეთი საკანონმდებლო აქტი იმ ეტაპზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ ვერ არეგულირებდა არაპროფესიონალთა მიერ სახელოსნოების გახსნის აკრძალვაზე შესაბამისი კონტროლის დაწესებას. არადა, იმ პერიოდის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, ასეთი შემთხვევები თბილისის სინამდვილეში ხშირი იყო. ამ პროცესს იმდენად ფართო ხასიათი ქონდა მიღებული, რომ ხელობისადმი პრეტენზიას საქმის უცოდინარი ადამიანებიც აცხადებდნენ. ამის დადასტურებას, გაზეთ „ივერიაში“ გ.ყ. (ბერძენიშვილი სვიმონ) ფსევდონიმით 1889 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაცია - „ფეხსაცმლის მკერვალნი ტფილისში“ წარმოადგენს. ამ წერილიდან ირკვევა, რომ მისი ავტორი ფეხსაცმლის მკერავი მუშა იყო და აღნიშნულ სფეროში არსებულ მანკიერ მხარეებს ხელოსნის პოზიციიდან აფასებდა. მისი მტკიცებით, ხშირად ფეხსაცმლის მკერავის ხელოსნობას ისეთი ადამიანები იჩემებდნენ რომლებსაც ამ სფეროში არაფერი გაეგებოდა. ამის საილუსტრაციოდ მას რამდენიმე ფაქტი აქვს მოტანილი, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი უვარგისი პროდუქციის გამო, ხელოსანსა და შემკვეთს შორის გახმაურებული დაპირისპირების გამომწვევი მიზეზები. ასეთ შემთხვევებს, იგი ჭეშმარიტი ხელოსნისადმი სახელის გატეხის და მუშტრის დაკარგვის რეალურ საშუალებად მიიჩნევდა. აქედან გამომდინარე, ს.ბერძენიშვილი პრინციპულად აყენებდა საკითხს: 1)სახელოსნო გამგეობის ხელმძღვანელობას დროულად მიეღო ფსევდო ხელოსნების საწინააღმდეგო ღონისძიება იმ თვალსაზრისით, რომ ატესტატის არმქონე პირებისთვის სახელოსნოს გახსნის უფლება არ მიეცა; 2)ატესტატი მხოლოდ იმ პირებისთვის გადაეცათ, ვისაც ხელობის სწავლების სრული კურსი ქონდა გავლილი; 3)ატესტატში კონკრეტულად მიეთითებინათ შეგირდის მიერ ათვისებული ხელობის სახეობა. „ერთი სიტყვით - ვკითხულობთ წერილში, - უსტაბაში და სახელოსნო გამგეობა ყოველის ღონისძიებით უნდა ცდილობდნენ, რომ მხოლოდ მცოდნე კაცი მართავდეს სახელოსნოს,

მხოლოდ წამდვილი ხელოსანი და ოსტატი ხელოსნობდეს და ამისთვის იღებდეს მოწმობას დაწესებული გადასახადის წარდგენით“ („ივერია“, 1889, 18 ივნისი).

მართალია, საკითხი სწორად იყო დასმული, მაგრამ მისი მოწესრიგება ამქრის უსტაბაშისა და სახელოსნო გამგეობის შესაძლებლობებს სცილდებოდა. არსებული პრობლემის მოგვარების პროცესი სამთავრობო დონეზე თუ არა, თბილისის ქალაქის ხელისუფლების საკანონმდებლო აქტით უნდა გადაწყვეტილიყო. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ამქართა გაერთიანებების ხელმძღვანელობა და „სახელოსნო გამგეობა“ ერთობლივად ახდენდა ამქართა უსტაბაშის, ან ხელოსანთა მიერ ჩადენილი შიდა დანაშაულისადმი რეაგირებას, მაგრამ ატესტატის გაცემისას არსებული დარღვევების შესახებ მკაცრი რეაგირების ამსახველ მასალებს ჯერ-ჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

რაც შეეხება თბილისში მოქმედ ამქართა და მასში დასაქმებული ხელოსნების რაოდენობას, შედარებით სრული სურათი ჩვენს მიერ მოტანილ ცხრილშია წარმოდგენილი:

ცხრილი N 1

N	წელი	ამქართა რაოდენობა	ხელოსანთა რაოდენობა
1	1885	59 ამქარი	6484
2	1887	60 ამქარი; 4 არტელი	6020
3	1888	60 ამქარი; 7 არტელი	5455
4	1889	68 ამქარი	5600
5	1890	65 ამქარი; 3 არტელი	5814

აღნიშნული ცხრილის მონაცემებით ირკვევა, რომ 1885-1890 წლებში ამქრებისა და ხელოსანთა რაოდენობა გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა და იგი ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშა-ხელოსანთა გადინებით იყო განპირობებული. რაც შეეხება XIX საუკუნის ბოლოსთვის (1892-1896 წწ.) თბილისის ხელოსანი ოსტატებისა და შეგირდების რაოდენობის დინამიურ პროცესს, იგი ჩვენს მიერ შედგენილ N 2 ცხრილშია ასახული.

ცხრილი N 2

N	წლები	ოსტატი	ქარგალი	შეგირდი	სულ
1	1892	4358	441	3081	7880
2	1893	2010	1942	1218	5170
3	1894	2340	1840	1280	5469
4	1896	2968	2973	1886	76233

ამ ცხრილის მონაცემების მიხედვით, თბილისის ხელოსნურ წარმოებაში დასაქმებულთა დაქვეითების პროცესია დადასტურებული და იგი კაპიტალიზმისადმი დამახასიათებელი ახალი საწარმოო-იარაღების ფაბრიკა-ქარხნებში შემოტანით იყო განპირობებული.

მუშა-ხელოსანთა ზემოაღნიშნული გაერთიანებების პარალელურად, საქართველო და განსაკუთრებით თბილისი შინამრეწველობით გამოირჩეოდა. ქართული ხალხური ტრადიციებიდან გამომდინარე, ამ პროცესის ძირითად გამოვლინებას, სხვადასხვა სახის საოჯახო და მანდილოსნის სამკაულის დამზადებულ ნივთებში ქონდა ადგილი. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება გაზეთ „ივერიაში“ საინფორმაციო ხასიათის უსათაური პუბლიკაციამ მიიპყრო. იგი ეხება ქართული ხალხური ოქრომჭედლობის მიმართ იმ ეტაპზე არსებულ უმძიმეს მდგომარეობას. „ძველთაგანვე - ვკითხულობთ წერილში, - გადარჩენილი ხელოვნება, ჯერ ისევ სულდგმულობს ჩვენს ხელოსნებში და ამ ხელოვნებას ყოვლისავე მხრით თავმინებებულსა და უგულოდ დაგდებულს ისევ ჩვენი ხალხი უფლის, ინახავს და ხელს უწყობს. ვინმე ხელოსანს, თავის საქმის მოსიყვარულეს, რომელსაც არც სკოლა უნახავს, არც ხატვა უსწავლია და მხოლოდ შეგირდობით ოსტატის დუქანში ყმაწვილობითვე შესდგომია ხელობის სწავლას, თავისის ბეჯითობით, ნიჭითა და გემოვნებით მიულწევია იქამდე, რომ მისი ნამუშევარი ხელოვნების ნაწარმოებს უახლოვდება და არა უბრალოდ ხელოსნობას“ („ივერია“, 1889, 17 სექტემბერი). ამ ამონაწერიდან აშკარად იკვეთება, რომ იმ ეტაპზე ხალხური ოქრომჭედლობის საკითხი უყურადღებოდ იყო მიტოვებული და მისი გადარჩენა მხოლოდ ამ დარგის მოყვარული ენთუზიასტების ხარჯზე ხდებოდა. იმავე პუბლიკაციიდან ისიც ირკვევა, რომ ქართველი ხელოსნების მიერ ოქროსა და ვერცხლის ჭედური ხელოვნებით შემკული ნივთებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ დაინტერესებულნი. თბილისსა და ქუთაისში მათ მიერ შემენილი ჭედური ხელოვნების ოქროსა და ვერცხლის შინამრეწველობის ნიმუშები ევროპაში გაჰქონდათ.

ზემოაღნიშნული ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი ხელოსნების ნამუშევრები, როგორც ხალხური შემოქმედების ნიმუშები, მაღალი გემოვნების ევროპელებისათვის მოსაწონი და ფასეულიც იყო. მიუხედავად ამისა, იმ პერიოდის არსებული რეალობიდან გამომდინარე, დასავლეთ ევროპელთა სტუმრობა საქართველოში იშვიათობას წარმოადგენდა და ბუნებრივია, ქართველი ოსტატების მიერ შინამრეწველობის ხელოვნების ნიმუშები, ძირითადად ადგილობრივი ჩარჩ-ვაჭრების ხელში ხვდებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ მოწინავე წერილში „ტფილისი, 2 ივლისი“, ხაზგასმით იყო მითითებული, რომ ხელოსნის მიერ დამზადებული ნივთების ვაჭრების ხელში მოხვედრას ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა: 1) ხელოსნის მძიმე სოციალური და ფინანსური მდგომარეობა; 2) ნებისმიერი ნივთის დასამზადებლად შემენილი მასალის, ხელოსანის მხრიდან დროულად გადახდის აუცილებლობა. ყოველივე აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ხელოსნის მიერ თავისი ნაწარმის ჩარჩ-ვაჭრისადმი იაფად მიყიდვას იძულებითი ფაქტორები განაპირობებდა. არსებული მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ საშუალებს, დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილების საქართველოში გადმოტანა წარმოადგენდა. მხედველობაში გვაქვს ევროპის ქვეყნებში ხელოსნების მიერ დაარსებული „მწარმოებელთა ასოციაცია“.

ასეთი ორგანიზაციის ძირითად დანიშნულებას, ხელოსანსა და მყიდველს შორის ჩარჩ-ვაჭართა შუამავლობის გაუქმება წარმოადგენდა. ამ საკითხთან მიმართებაში ჩვენს მიერ შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული ასოციაციის სრულფასოვნად ამოქმედებით, ხელოსანსა და მყიდველს შორის ჩარჩ-ვაჭართა ინსტიტუტის საქმიანობა ნულამდე იქნებოდა დაყვანილი. ეს გარემოება ქონდა მხედველობაში გაზეთ „ივერიას“, როცა იგი „მწარმოებლური ასოციაციის“ მსგავსი ორგანიზაციის-„მწარმოებლის ამხანაგობის“ საქართველოში შექმნას რომ მიესალმა. იმავე გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ პუბლიკაციაში მოტანილი ფაქტებით ირკვევა, რომ აღნიშნულ გაერთიანებაში მყოფმა ხელოსნებმა, 1895 წლის 1 ივლისს, ახლად შექმნილი ორგანიზაციის წესდება დაამტკიცა. ამ დოკუმენტით განისაზღვრა „მწარმოებლის ამხანაგობის“ ძირითადი მიზანი და ამოცანები („ივერია“, 1895, 2 ივლისი). მიუხედავად ამისა, ეს ორგანიზაცია, ხელოსანთა ენთუზიაზმზე იყო დაფუძნებული და ბუნებრივია, შინამრეწველობის დარგების აღორძინება, ასეთი ორგანიზაციისგან შეუძლებელი იყო. მას მხოლოდ ხალხური შემოქმედებითი ხელობის დარგების მივიწყების დროებით შეჩერება შეეძლო. არსებული რეალობა, სახელმწიფოს დონეზე შესაბამისი ღონისძიებების გატარებას საჭიროებდა. მითუმეტეს, იმ პერიოდის მონაცემების მიხედვით, კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში, შინამრეწველობის მთელი რიგი მიმართულებები, მათ შორის - ხალხური ჭედური ხელოვნების დახვეწილი ფორმის ნიმუშები, განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა. ჩვენი აზრით, ეს გარემოება უნდა ქონოდა მხედველობაში გაზეთ „ივერიას“ კორესპოდენტ ალექსანდრე ნანეიშვილს, რომელიც იმავე გაზეთში დაბეჭდილ უსათაურო წერილში-„ტფილისი, 7 ოქტომბერი“ წერდა: „საერთოდ კავკასიაში სხვადასხვაგვარი საშინაო მრეწველობა არსებობს, რომლის ნაწარმოებს შეუზღიან გააოცოს და გააკვირვოს ადამიანი. რამდენად სხვადასხვაობს კავკასიის ბუნება, ტოპოგრაფიული მდებარეობა, ჰავა, იმდენად სხვადასხვაობს საშინაო მრეწველობაც, რომელსაც ხელის შეწყობა და ბაზარი სჭირდება... ამ საქმეში დიდი წილი უნდა ჰქონდეს ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს... საშინაო მრეწველობა საქმის წინ წასაწევად და ხელშესაწყობად“ (ნანეიშვილი, 1888). საკითხის ასეთი ფორმით დასმის მიუხედავად, მისი წარმატებით შესრულება იმ ეტაპზე სამეურნეო საზოგადოების მხრიდან შეუძლებელი გახდა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ხელოსნობის ამა თუ იმ დარგების საფუძვლიანი შესწავლა- აღწერის მიზნით, საქართველოს რეგიონებში გასვლა, დიდ ფინანსურ ხარჯებს მოითხოვდა, რომელიც სამეურნეო საზოგადოებას იმ ეტაპზე არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, არსებული პრობლემის შესწავლა-მოგვარების საკითხთან მიმართებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, ისევ სახელმწიფოს პრეროგატივად რჩებოდა.

ჩვენს მიერ შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, რომ რუსეთის ფინანსთა სამინისტრო, რუსეთის იმპერიის ფარგლებში შინამრეწველობის განვითარების ხელშეწყობით, ჯერ კიდევ 1874 წელს დაინტერესთა და შესაბამისი კომისიაც შექმნა. მის შემადგენლობაში სამეცნიერო წრეებიც იქნა

შეყვანილი. კომისიის მიერ 1874 წლიდან 1886 წლამდე გაწეული მუშაობის შედეგად, რუსეთის იმპარიაში შინამრეწველობის მდგომარეობის შესახებ შეკრებილმა მასალებმა 14 ტომი შეადგინა, რომელშიაც ამიერკავკასიის რეგიონს და უშუალოდ საქართველოს უმნიშვნელო ადგილი ქონდა დათმობილი. არადა, ამიერკავკასიის რეგიონის მოსახლეობა და განსაკუთრებით საქართველო, შინამრეწველობის დარგებიდან, ჭედური ხელოვნების თვალსაზრისით, განსაკუთრებულად გამოირჩეოდა.

სარუსეთო კომისიის მხრიდან საქართველოსადმი ნაკლები ყურადღების დათმობის კრიტიკას შეიცავს ალექსანდრე ფირალოვის მიერ გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი პუბლიკაცია - „ტფილისი, 28 ნოემბერი“. მასში საუბარია 1886 წლის 1 ნოემბერს თბილისში გამართული სამი საზოგადოების (სამეურნეო, სატექნიკო, საგეოგრაფიო) ერთობლივი კრების მიმდინარეობაზე, რომელმაც ზემოაღნიშნული კომისიის ერთ-ერთი წევრის დილგენშტეტის მოხსენება მოისმინა. როგორც ირკვევა, მომხსენებელს, კავკასიის რეგიონში და თვით საქართველოში სახელოსნო სკოლებისა და შესატყვისი ცალკე სახელოსნოების გახსნის საკითხი დაუყენებია. მაგრამ არაფერი უთქვამს იმავე სასწავლებლებისა და სახელოსნოების გახსნისთვის საჭირო დაფინანსებასთან მიმართებაში. კონკრეტულად ვის ევალებოდა აღნიშნული საფინანსო ოპერაციის განხორციელება.

დილგენშტეტის მოხსენების ეს ხარვეზი, ალექსანდრე ფირალოვმა კარგად შენიშნა და იმავე სტატიაში დილგენშტეტის მიერ კრების მონაწილეებისადმი შეთავაზებული წინადადებები არაფრის მომცემად და ცარიელი სიტყვების ჩამონათვალად გამოაცხადა. მითუმეტეს, როგორც პუბლიკაციიდან ირკვევა, იმ ეტაპზე შინამრეწველობის განვითარების ღონის თვალსაზრისით, საქართველოს რეგიონები შეუსწავლელი იყო. აქედან გამომდინარე, ალ.ფირალოვის სამართლიანი მტკიცებით, არსებული პრობლემის სატკივარისადმი „წამლის გულუხვად გამოწერა“, საცრით წყლის ზიდვას წააგავდა. „მკურნალი - ვკითხულობთ წერილში, - ვერანაირ წამალს ვერ ურჩევს სნეულს, რომელიც თვალით არ უნახავს, ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებებიც საშინაო მრეწველობისთვის ვერაფერს გააწეობენ, თუ კარგად და საფუძვლიანად არ გამოიძიეს, არ გამოარკვეეს ვითარება და მისი ავ-კარგი ჩვენებურის საშინაო მრეწველობისა“ (ფირალოვი, 1886). ამ მიმართულებით წარმატებული ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ მას შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი, თუკი ცენტრალური ხელისუფლების მიერ ზემოაღნიშნული კომისიის შესაბამისი ქვეკომისია იფუნქციონირებდა საქართველოში და წლიდან-წლამდე ყოველდღიურად თვალს მიედევნებდა შინამრეწველობის განვითარების ხელშეშლელ პროცესებს. ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიება, არსებული სატკივარისადმი სწორი დიაგნოზის დასმის გარანტიას შექმნიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული პრობლემისადმი პროფესიონალების მხრიდან მუდმივი საზედამხედველო პროცესი დაწესდებოდა. გაზეთ „ივერიას“ ფურცლებზე დაბეჭდილი მასალების საფუძვლიანი შესწავლის მიუხედავად, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან დასმულ საკითხზე პრაგმატული გადაწყვეტილების მიღების შესახებ ვერანაირი სახის ინ-

ფორმაციას ვერ მივაკვლიეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ სამთავრობო კომისიის მიერ გახმოვანებული წინადადებები იმ ეტაპზე შეუსრულებელი დარჩა.

საკვლევ პრობლემასთან მიმართებაში გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი მასალების საფუძვლიანი გაანალიზებით და თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის მიღწევების გათვალისწინებით, ნაშრომში დასაბუთებულია: 1) XII-XVIII საუკუნეების ქართულ წერილობით დოკუმენტებში დაცული ტერმინები: „კალატოთა უზუცესი“, „ხელოსანთა უზუცესი“, „მხატვართა უზუცესი“, „მკერავთა უზუცესი“ და ა.შ. შესაბამისი პროფესიის ადამიანთა გაერთიანების ხელმძღვანელს ნიშნავდა. უახლესი პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ სიტყვა - უზუცესი, სრულად შეესაბამება XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში შემოსულ სპარსული სიტყვის - ამქარის ცნებას.

2) გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი მასალების შესწავლით გაირკვა: ა) საქართველოში მოქმედ ამქართა ორგანიზაციებს, სპეციალობის აღმნიშვნელი ნიშნები და დროშები გააჩნდა; ბ) მათ რიგებში მიმდინარე შიდაორგანიზაციული ცვლილებები (ოსტატების ფაბრიკა-ქარხნებში გადინება), მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ და ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარების სპეციფიურობამ განაპირობა.

რუსეთის სამინისტროს 1891 წლის „სახელოსნო დებულების კანონმა“, ამქართა ორგანიზაციაში დასაქმებული შეგირდის უფლებრივ ნორმებთან ერთად, მათთან მიმართებაში სახელოსნოს მეპატრონის ვალდებულებები დააკანონა.

3) გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი პუბლიკაციების დანიშნულებას, ქართული ხალხური შინამრეწველობის პოპულარიზაციის პარალელურად, მისადმი რისეთის ხელისუფლების შესაბამისი უწყების დაინტერესება და ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა წარმოადგენდა. საქართველოში „მწარმოებელთა ასოციაციების“ შექმნის მიზანშეწონილობის პროპაგანდა და რუსეთში მოქმედი შინამრეწველობის დარგების შემსწავლელი კომისიის შესაბამისი ქვეკომისიის საქართველოში ფუნქციონირების აუცილებლობის მოთხოვნა, მაღალ საფეხურზე მდგომი ქართული ხალხური ჭედური ხელოვნების გადარჩენა-შენარჩუნებას ითვალისწინებდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

აბესაძე, ნ. ქარგლის ინსტიტუტის საკითხისათვის. (1971). *მაცნე. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ხელოვნებათმცოდნეობა*. N 1.

ახალი ამბები. (1891). გაზეთი „ივერია“. 14 აგვისტო. N 172.

ახალი ამბები. (1889). გაზეთი „ივერია“. 17 სექტემბერი N 196.

ეპკვერაძე, ლ. (1986). *სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ბურჟუაზიული ევოლუცია საქართველოში*. თბილისი.

მესხია, შ. (1983). *საისტორიო ძიებანი*. ტ. II. თბილისი.

ნანეიშვილი, ა. (1888). *ტბილისი*. 7 ოქტომბერი. გაზეთი „ივერია“. წ. 8 ოქტომბერი N 210.

- ორბელიანი, ს.ს. (1966). *ლექსიკონი ქართული*. ტ. I. თბილისი.
სიღნაღი. 29 ივნისი. (1892). გაზეთი „ივერია“. 14 ივლისი. N 147.
ფეხ-საცმლის მკერვალნი ტფილისში. გაზეთი „ივერია“ 1889 წ. 18 ივნისი. N 126.
ტბილისი 2 ივლისი. (1895). გაზეთი „ივერია“. 2 ივლისი. N 138.
ფირალოვი, ა. (1886). ტბილისი 26 ნოემბერი. გაზეთი „ივერია“. 28 ნოემბერი. N 256.
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1966). მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა. ტ. 6. თბილისი.
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1950). მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა. ტ. 1. თბილისი.
ჩხეტია, შ. (1940). *ამქრობის ისტორიიდან*. თბილისი.
Ахвердов, Ю. (1883). *Тбилисское Амкары, записки об амкарах*. Тифлиси.
Вейденбаум, Е. (1960). *Путеводитель по Кавказу*. Москва.
Гакстгаузен, А. (1955). *Закавказский край*. Москва.

Ilia Vadachkoria

THE GUILD INSTITUTION IN GEORGIA AND THE SOCIAL STANDING OF ITS MEMBERS ACCORDING TO THE NEWSPAPER “IVERIA”

Abstract

Regarding the research problem, taking into account a thorough analysis of the materials printed in the newspaper “Iveria” and the achievements of modern scientific literature, the article substantiates:

1) Terms preserved in Georgian written documents of XII-XVIII centuries: chief stonemason, chief master, chief painter, chief tailor, etc. denoted the head of the association of people of the respective profession. The scientific literature of the recent period confirms that the word “Chief/Elder” fully corresponds to the concept of the Persian word “Amqar” (‘Craftsman’) introduced to Georgian in the 1860s;

2) The study of the materials printed in the newspaper “Iveria” revealed: a) Craftsman organizations working in Georgia had special signs and flags; b) Internal organizational changes that took place among their members (outflow of masters to factories) were caused by the harsh socio-economic situation and specifics of capitalism development in the country. “The Law on Workshop Regulations” of the Russian Ministry of 1891 together with the legal norms of apprentices who worked in Craftsman organization legalized the obligations of the workshop owner towards them;

3) The purpose of the publications printed in the newspaper “Iveria” along with popularization of Georgian folk craft was the interest of the relevant authorities of Russia and the necessity to take effective measures in this direction. Propaganda of expediency of creation of “associations of manufacturers” in Georgia and demanding the necessity of functioning in Georgia of the corresponding sub-commission of the commission for the study of domestic industry operating in Russia aimed at survival and preservation of Georgian folk engraving art of the highest standard;